● კუალა-ლუმპური. მალაიზიის დედაქალაქში ჩამოვიდა საბჭოთა ხელოვნების ოსტატთა ჯგუფი, რომელშიც შედიან მომღერლები, ბალეტის სოლისტები, მოცეკვავე ე ბ ი, ორიგინალური ჟანრის წარმომადგენლები. საბჭოთა მსახიობები ხუთ კონცერტს გამართავენ კუალა-ლუმპურში, შემდეგ კი გაემგზავრებიან ნებალში, სადაც მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა კულტურის დღეებში, მალაიზიამდე საბჭოთა მსახიობები წარმატებათ გამოვიდნენ მეზობელ სინგაპურში.

სწავლობენ ოკინავას

● ტოკიო. სოციალისტური პარტიისაგან იაპონიის პარლამენტის დეპუტატებისა და იაპონიის პროფკავშირთა გენერალური საბჭოს წარმომადგენლების გაერთიანებული დელეგაცია ჩავიდა ოკინავაში, იგი შეისწავლის ამ კუნძულის ვითარებას, სადაც დღემდე 60-ზე მეტი სამხედრო ბაზა აქვს ამერიკას.

„ეროვნული სიხარული“

● ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების ჯანმრთელობის დაცვის, განათლებისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრმა ჯ. კალიფანომ „ეროვნული სიხარული“ უწოდა იმ მოვლენას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებ ვერ უზრუნველეყოთ ყველა ბავშვის აცრა ყველაზე გავრცელებულ ავადმყოფობათა წინააღმდეგ. როგორც ჯანმრთელობის დაცვის დარგის ფედერალური ექსპერტები წერენ, 15 წლამდე ამერიკელი ბავშვების დაახლოებით 40 პროცენტისთვის არ აუცრიათ ბავშვთა ყველაზე გავრცელებული ავადმყოფობანი. გამოირკვა, რომ 19 მილიონამდე ბავშვისთვის არ აუცრიათ პოლიომიელითი, 12 მილიონისთვის — წითელა, 15 მილიონისთვის — დიფტერიტი, ყივანახველა, ტეტანუსი და სხვ.

სამართლიანი პროტესტი

● პარიზი, საფრანგეთის ეროვნულ კრებაში კომუნისტთა ჯგუფმა პროტესტი განაცხადა მთავრობის იმ გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომ საფრანგეთის სამხედრო თვითმფრინავები გამოჰყოს ზაირში მაროკოს ჯარების გადასაყვანად და სამხედრო ტექნიკის გადასაზიდად. მან მოითხოვა სასწრაფო კამათი გაიმართოს ეროვნულ კრებაში მთავრობის ამ „ხაშიში გადაწყვეტილების“ გამო, რომელიც „ახალ კოლონიურ ავანტიურა“-ა“ ანბამს ქვეყანას.

ეს საინტერესოა

ალმოაჩინეს კლდის ფერწერა

ლიმა. პერუს სამხრეთ-აღმოსავლეთში, კუსკოს დეპარტამენტში არქეოლოგთა ჯგუფმა აღმოაჩინა 25 გამოქვაბული, რომლებშიც კლდის ფერწერას მიაგნეს. ფერადი ნახატები, რომლებიც ახლანდელ პერუელთა შორეულ წინაპრებს შეუქმნიათ, გამოხატავენ ნადირობის სცენებს, მეცნიერთა აზრით, ეს ნახატები დაახლოებით 5 ათასი წლისაა.

ეს ეკონ ეკონ

ეროვნული სიხარული

ნიუ-იორკი. (საქმესი). ამერიკის შეერთებული შტატები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ რამდენიმე სახელმწიფოთაგან ერთერთია, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჯიუტად ამბობს უარს იკისროს ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა უზრუნველყოფის კონკრეტული სახელშეკრულებანი ვალდებულებანი. აქ გამოქვეყნებული მოხსენების მონაცემებით, 19 საერთაშორისო შეთანხმებიდან ამ დარგში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაამტკიცა მხოლოდ სამი.

თითქმის მეოთხედი საუკუნეა კონგრესის არქივებში მტვრით დაფარული დგას კონვენცია გენოციდის დანაშაულებათა თავიდან აცილებისა და ამ დანაშაულებისათვის სასჯელის შესახებ, რომელსაც შეუერთდა 80-ზე მეტი სახელმწიფო და რომელიც არ დაუმტკიცებია ამერიკის შეერთებულ შტატებს. გენოციდის, ამ ომამდელი დანაშაულის მსხვერპლი გახდა ინდიელი მოსახლეობა, ყველაზე უფლებო შეერთებულ ეროვნული უმცირესობა შეერთებულ შტატებში, ამერიკაში დარჩა მხოლოდ 800 ათასი ინდიელი, რომლებიც ძალად შეყარეს რეზერვაციებში, მათი ხელიდან შიმშილი, ავადმყოფობა, საშინელი სიღატაკე. ამერიკის შეერთებულ შტატებში ფეხქვეშ თელავენ სხვა ეროვნული უმცირესობების — ზენგების, აზიისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების წარმომადგენელთა უფლებებსა და თავისუფლებებს.

ამერიკის შეერთებულ შტატებს, სადაც ღრმად გაიდგა ფესვები რასიზმმა, არ დაუმტკიცებია საერთაშორისო კონვენცია ყველა სახის რასობრივი დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ, რომელიც უკვე დაუჭირა მხარი 93 სახელმწიფომ. რასიზმი სამარცხვინო მოვლენაა, რომლისგანაც იტანჯება ქვეყნის „ფერადკანიანი მოსახლეობა“, და რომელიც სრულიად აბათილებს ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაციის დებულებას იმის შესახებ, რომ ყველა ადამიანი გაჩენილია თანასწორი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციებში დადასტურებულია განათლების უფლება, მამაკაცთა და ქალთა თანასწორუფლებიანობა, სოციალური უზრუნველყოფისა და

ვეტერანი

ლენინური პარტიის ვეტერანი

დ. ვ. ლომაძის დაბადების 80 წლისთავის გამო

ბის შემდეგ გაძლიერდა ბოლშევიკების დევნა, რის გამოც დ. ლომაძე იძულებული გახდა ბაქოში გაემგზავრებულიყო, სადაც შეხვდა ს. შაუმიანს და ბაქოს კომუნის სხვა ხელმძღვანელებს. ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების დროებით დაცემის შემდეგ იგი ბრუნდება საქართველოში და განაგრძობს რევოლუციურ მუშაობას. 1921 წლის თებერვლის დასაწყისში მენშევიკებმა ჭიათურაში დააპატიმრეს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ, 1921-1922 წლებში დ. ლომაძე ჭიათურის პარტიული კომიტეტის მდივანია. იგი იყო საქართველოს კომპარტიის პირველი ყრილობის დელეგატი. 1922 წელს სასწავლებლად გაგზავნეს საზღვარგარეთ. სწავლობდა ქ. ვენის უნივერსიტეტში სახელმწიფო მეცნიერებათა ფაკულტეტზე. 1923 წლის ოქტომბერში ვენის უნივერსიტეტის სტუდენტთა რევოლუციურ ჯგუფთან ერთად მონაწილეობდა ჰამბურგის აჯანყებაში, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ერთხანს გერმანიაში. 1927-1928 წწ. მუშაობდა მდივნად სსრ კავშირის კენსინგერის საავჭრო წარმომადგენლობაში. 1928 წლს ბრუნდება საქართველოში და ამავე წელს ნიშნავენ ამიერკავკასიის სსრ-ის სანინო ეკონომიის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრად. შემდეგ ეკავა მთელი რიგი პასუხისმგებელი თანამდებობები ამიერკავკასიის სფსრ-ის საგეგმო კომისიაში, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში, დამზადების სამინისტროსა და პროკურატურაში, იგი იყო საქართველოს სსრ კულტურის ძეგლთა დაცვის საბჭოს თავმჯდომარე. 1954 წლიდან საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერია. დაჯილდოებულია ლენინის ორდენითა და მედლებით. 1970 წელს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ დ. ლომაძე როგორც ჰამბურგის აჯანყების მონაწილე, დაჯილდოვა ორდენით „სამშობლოს წინაშე დამსახურებისათვის“.

დ. ლომაძე მიუხედავად ხანდაზმულობისა, აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობაში, ეწევა ჩვენი ქვეყნის რევოლუციური წარსულის პროპაგანდას. აღსანიშნავია, რომ მისი ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით 1965-1967 წლებში მიკვლეული იქნა ჭიათურის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის არალეგალური სტამბის ნაწილები (ქართული და რუსული შრიფტი და სხვა მოწყობილობა), რომელიც თითქმის 55 წელი ინახებოდა სოფ. მოვიმეევის სახტარას გამოქვაბულში, ფარკვეთის კლდესა და ყოფ. ფორეულის (ახლა მ. კალინინის სახელობის) მაღაროს გაუქმებულ შტრეკში. რევოლუციური წარსულის ეს შესანიშნავი რელიკვიები დაცულია ქ. ჭიათურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

დ. ლომაძე სისტემატურად ეხმაურება პარტიისა და მთავრობის ღონისძიებებს, ეწევა მათ დადგენილებათა პროპაგანდას. იგი ხშირად გამოდის მოხსენებებით, სიტყვებით, მოგონებებით პიონერებს, მოსწავლეებისა და სტუდენტი ახალგაზრდობის წინაშე, ჯარის ნაწილებში, ფაბრიკა-ქარხნებს. მუშათა შორის და თავისი წვლილი შეაქვს რევოლუციური ტრადიციებს, პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი ენერგიული მუშაობა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შეპაბებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ. ვუსურვოთ მას დიდხანს ცოცხალობა, ჯანმრთელობა და ენერგიული მუშაობის განგრძობა.

ს. ბერიძე,
საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

ეს ეკონ ეკონ

ეროვნული სიხარული

ნიუ-ბრანსუიკი (ნიუ-ჯერსის შტატი) (საქმესი). ადგილობრივი „განსაკუთრებული მკაცრი რეჟიმის“ საპატიმროს შენობასთან ხელისუფალთა მიერ დანიშნულ დღეს და საათზე ამაოდ შეეკრიბნენ ეურნალისტები და საზოგადოების წარმომადგენლები. დაცვას საერთოდ არ გამოუჟვანია ამ ახ წინათ ხელისუფალთა მიერ მსჯავრდებული ცნობილი ზანგი აქტივისტი ქალი, პოეტი და ისტორიკოსი ანატა შაქური ამ ადგილას გასაგზავნად, სადაც სამუდამო პატიმრობა უნდა მოიხადოს. როცა ეურნალისტებმა ახსნა-განმარტება მოითხოვეს საპატიმროს ხელისუფალთ, ოლქის შერიფმა ჯ. დემარინომ განაცხადა, რომ „ეშინოდათ“ მან „გაჩნრად მოატყუა პრესის წარმომადგენლები“. ა. შაქურის გაგზავნის დღის თათბაზე თურმე, თანასწორი უფლებებისათვის ამერიკელ ზანგთა მოძრაობის აქტივისტი წინადღეს მალულად წაუყვანიათ ნიუ-ბრანსუიკიდან და გამძლიერებული დაცვის თანხლებით ამავე შტატის ქალაქ კლინტონის საპატიმროში დაუმწყვდევიათ.

15 თვის მანძილზე — დაპატიმრებიდან განაჩენის გამოტანამდე—სელისუფალთ მკაცრ იზოლაციაში ჰყავდათ ასატა შაქური ნიუ-ბრანსუიკის „განსაკუთრებით მკაცრი რეჟიმის“ საპატიმროს მიწისქვეშა საკანში. იგი დღე და ღამ იქ იყო ზედამხედველების მეთვალყურეობის ქვეშ. თუმცა საკანში დღის სინათლე ვერ აღწევდა და სუფთა ჰაერი არ შედიოდა, ასატა შაქურს საპატიმროს ეზოში და თვით ციერეფანში სეირნობაც კი აუკრძალეს. სასამართლო დარბაზში იგი სპეციალური მიწისქვეშა გვირაბით ხელბორკილიანი და გაძლიერებული დაცვის თანხლებით მიჰყავდათ.

სასამართლო ანგარიშსწორების რასისტული მექანიზმი წუთითაც არ შეფერხებულა — მსაჯულთა ეიურიმ, რომელიც მხოლოდ თეთრკანიანებისგან შედგებოდა, ზანგი აქტივისტი დამნაშავედ ცნო „საპატრეტ პოლიციელის მკვლელობის“ შეთითხნილ ბრალდებაში, მოსამართლემ კი სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. ასეთი მკაცრი განაჩენი გამოტანეს მიუხ

თბილისელ არქიტექტორთა პროექტებით



სპორტული ბაკურიანის მომავალი

კოკულარული საზამთრო კურორტი და საერთაშორისო და საკავშირო შეჯიბრებათა ადგილი — ბაკურიანი უახლეს წლებში კიდევ უფრო დამშვენდება.

„საქსახკალაქმშენპროექტის“ ინსტიტუტის № 4 არქიტექტორულ სახელოსნოში დამუშავებული პროექტებით ბაკურიანში შენდება სამტრამპლინიანი სპორტული კომპლექსი — სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების“ სამთო-სათხილამურო ბაზა და ზამთრის სახეობათა სპორტში ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების მომზადების ცენტრი.

სპორტსმენები უკვე რამდენიმე წელია ეჯიბრებიან ერთმანეთს კომპლექსის პროექტში შემავალ ორ ტრამპლინზე (90 და 70-მეტრიან) ხტომებში. (პროექტის ავტორია შ. ქლიბაძე). მალე აშენდება ხელოვნური საფარიანი მესამე, 40-მეტრიანი ტრამპლინიც, რომელზეც მთელი წლის განმავლობაში შეიძლება წვრთნა. აქვე აშენდება 100-ადგილიანი სასტუმრო ხამთომოთხილამურეებისათვის.

მეორე პროექტის — „შრომითი რეზერვების“ სამთო-სათხილამურო ბაზის ავტორებმა — შ. ქლიბაძემ და თ. გოგოლაძემ კომპლექსში გათვალისწინეს 250-ადგილიანი საძილე კორპუსი, კლუბ-სასადილო, დახურული საცურაო აუზისა და სპორტდარბაზიანი კორპუსი. მათ № 4 არქიტექტორული სახელოსნოს ხელმძღვანელთან გრიგოლ ჯაბუასთან თანაავტორობით შეიმუშავეს ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების მომზადების ცენტრის პროექტი, რომელშიც შედის საძილე და სპორტული კორპუსი და ექვსი მყუდრო კოტეჯი.



სურათებზე (მარცხნიდან): არქიტექტორთა ჩანაფიქრით ასეთი იქნება სამ ტრამპლინიანი სპორტული კომპლექსი; ჯგუფის ხელმძღვანელი შოთა ქლიბაძე (მარჯვნივ) და არქიტექტორი თემურ გოგოლაძე აზუსტებენ ბაკურიანის პროექტების დეტალებს; ჩვენი ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების მომზადების ცენტრი, რომლის მშენებლობა უკვე დაიწყო ბაკურიანში, განლაგებული იქნება წარმტაც ადგილას; სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების“ სამთო-სათხილამურო ბაზის პროექტი.

ბ. კიკვიძის ფოტო.
(ხაქინფორმის ფოტოქრონიკა)

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲓᲐᲜ

დირიჟორი — მთავარი შემსრულებელი



გ. აზმაიფარაშვილი.

მრავალფეროვანია მოსკოვის საგასტროლო აფიშა. აქ ჩვენი ქვეყნის ყველა მხრიდან ჩამოსულ სტუმრებს შეხვდებით.

როცა მომდინარე თეატრალურ სეზონს თვალი გადავავლეთ უფრო მკაფიოდ გამოჩნდა მოსკოვში ამასწინანდელი ქართული საოპერო თეატრის რამდენიმე დადგმა: რ. ლაფიძის ოპერა „ლელა“, პ. მასკანის „სოფლის პატიოსნება“ და რ. ვაგნერის „მფრინავი ჰოლანდიელი“.

ორ ოპერას დირიჟორობდა გიგი აზმაიფარაშვილი — თეატრის მთავარი დირიჟორი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

...1960 წელს დაამთავრა მან ლენინგრადის კონსერვატორია პროფესორ ა. ს. რაბინოვიჩის კლასით და იმავე წელს მუშაობა დაიწყო თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში. იგი მრავალფეროვანი ინტერესების, დაუცხრომელი შემოქმედებითი ენერგიის ადამიანია. მან ძალა სცადა — კამერულ ორკესტრშიც, რომლის ორგანიზატორი და პირველი სამხატვრო ხელმძღვანელიც თვითონ გახლდათ. ყოველივე ამან მის შემოქმედებითს მუშაობას დიდი სიფაქიზე, დახვეწილობა შემატა.

ყოველი დირიჟორი, მით უმეტეს მთავარი დირიჟორი, თავისი საქმიანობის პირველივე ნაბიჯებიდან პედაგოგი უნდა იყოს, შეეძლოს არა მარტო აღზარდოს ორკესტრის, გუნდის კოლექტივები, სოლისტები, არამედ უჩვენოს მათ სასურველი მუსიკალური შედეგის მიღწევის გზა, ე. ი. საერო ტემპი, ბგრინი, ნიუანსი, ინტონაცია, არა მარტო განსაზღვროს თავისი ადგილი ანსამბლში, არამედ გამოსახოს ბგერის გამოცემის, სწორი სუნთქვის ტექნიკური ხერხი, ე. ი. იმუშაოს ამისათვის, რამაც საბოლოოდ უნდა შექმნას მუსიკალური დრამა, რომლის ერთადერთი ენა მუსიკა და სიმღერაა.

დაბოლოს, იგი თვითეული სპექტაკლის მთავარი შემსრულებელია. ამ დროს ხომ დირიჟორსა და სცენას შორის წარმოშობა ხოლმე ურღვევი ზეშთაგონებული კავშირი, ამ დროს ხომ იმპოლსები დაადაცემა ყოველ შემსრულებელს, ამ დროს ხომ სცენაზე მიმდინარე მოქმედებას, ხასიათებს, სიტუაციებს იგი მთელი სიღრმით განიცდის და ეს მისი მუზიკირების ძირითადი სტიმულია. აქ იგი სპექტაკლის მთავარი მოქმედი პირია, აზრის, გრძნობის, დინამიზმის, ტონუსის წყაროა, რომელმაც სიცოცხლე უნდა შთაბეროს მუსიკალურ ფრაზებს, სიტყვებს, სცენაზე მიმდინარე მოქმედებას და კონკრეტულ მუსიკალურ-დრამატულ მხატვრულ სახედ აქცეოს იგი.

სწორედ ასე ხდება ხოლმე, როცა პულტთან გ. აზმაიფარაშვილი დგას. ორკესტრი დირიჟორის შემოქმედებითი შთაგონების ძალას ემორჩილება. ეს შთაგონება გადაეცემა მსახიობებს და, რა თქმა უნდა, თავის უცხო გრძნობა, გარკვეული დინამიკურობა და ტემპი მისი შემოქმედების არსია.

დიდებული „ხალხური ცეკვების“ მონუმენტურობა „ლელაში“, მისი გმირების „სტრფიალი გამონათქვამების“ გულწრფელობა და მკაფიო ექსპრესიული დრამატიზმი და თეატრალურობა „სოფლის პატიოსნებაში“... რა თქმა უნდა, იშვიათ ვოკალური თანავარსკვლავედი, რომელიც თბილისის თეატრს ჰყავს, ბევრად განსაზღვრავს სპექტაკლების მხატვრულ მნიშვნელობას. რომელ თეატრს არ შეშურდება ასეთი ვოკალური ყვავილნარი, სადაც არიან სსრ კავშირის სახალხო არტისტები მ. ამირანაშვილი, ლ. ჭყონია, ზ. ანჯაფარიძე, საქართველოს სსრ სახალხო არტისტები ც. ტატიშვილი, ნ. ანდღულაძე, ი. შუშანია... შაგრამ საუცხოო მომღერალი და პირველხარისხოვანი ნიწარმოებიც კი თეატრისათვის მხოლოდ და მხოლოდ თავისებური „ნედლეულია“, რომლისგანაც გატაცებულმა, ნიჭიერმა დამდგმელებმა უნდა გამოძერწონ მხატვრული ნაწარმოება, რომელსაც სპექტაკლი ჰქვია.

ამ თვალსაზრისით თეატრისა და დამდგმელის — დირიჟორ გ. აზმაიფარაშვილის უთუო შემოქმედებითი წარმატება გახდა რ. ლაფიძის „ლელა“, მკაფიოდ გამოხატული ეროვნული ინტერნაციონალური საფუძვლის მქონე ოპერა. თუმცა მასში ციტატები თითქმის არ არის, მაგრამ იგი მთლიანად გამსჭვალულია ჭეშმარიტად ხალხური სულისკვეთებით, უშუალობითა და სიწმინდით. ასეთი ოპერა თეატრის აფიშის ორგანული მოთხოვნილებაა. მოსკოვის სპექტაკლში ოპერის ბევრი იდგილი დირიჟორის ნებით შთაგონებულად ჟღერდა.

დიდებულია ყველა „ხალხური სცენა“ თავისი რიტუალური სიმკაცრით, ექსპრესის ჭეშმარიტად ეპიკური გაქანებით. როდესაც გამოქანდაკებულად, გამომსახველად აღიქმება ხალხის ჯგუფები კარგად მოგზებული სახეოვანი დეკორაციების ფონზე (I და III მოქმედება), რომლებიც ფორიაქებს მაყურებელთა წარმოსახვას, რაც თავისთავად სპექტაკლის ძლიერი გამომსახველობითი კომპონენტია (მხატვარი გ. გუნია). რა კონტრასტულია მოქეიფეებული კაზდეების ფონზე ლელას — ამირანაშვილის სინაზე და ქალურობა, რა ორგანულად ერწყმის მათ ბეროლს, გერგილს, ხალხს მეომართა ვეფკაცური ფიგურები. დირიჟორს განუწყვეტლივ გრძნობდა მსმენელი. ხან მგზნებარე აღმაფრენა (გუნდი „ეიდა“, გუნდის ლოცვა და ხალხის გოდება I მოქმედებიდან, გამოთხოვება — III მოქმედებიდან დუ სხვ.), ხან სრული შერწყმა ლაღძისა და მასკანის მელოდიების უსაზღვრო პლასტიკურ ხაზებთან. მაგრამ, მთლიანად, შესრულების ხასიათი მკაცრი, ნებისყოფიანი, დრამატულად დაძაბულია. გასაკვირი არ არის, რომ მსახიობები მას დიდებული კანტილენებით, მიმზიდველი ბგერითი პლასტიკით უპასუხებდნენ. განსაკუთრებით გულითადი იყო დირიჟორის დუეტი ც. ტატიშვილთან „სოფლის პატიოსნებაში“, დირიჟორის დიდებული დუეტი ზ. ანჯაფარიძესთან „ლელას“ III მოქმედებაში. ვერ ვიტყვით, რომ სპექტაკლები, საერთოდ, „ერთი სუნთქვით“ მიმდინარეობდა. იქ, სადაც იყო „უხეში ნაკერები“, სიყალბე მოქმედების განვითარებაში, სიტუაციებში, პერსონაჟების ქცევაში, მუზიკირების სასწაულიც ირღვეოდა. ასე იყო „ლელაში“, როცა არ კმაროდა მასალის და გამომსახველი საშუალებების კონტრასტულობა (II მოქმედება, რომელთა ბანაკი), იყო სხვა ასეთი ეპიზოდებიც, მაგრამ ამან, რა თქმა უნდა, არაფერი დააკლო სპექტაკლის საერთო მომხიბვლელობას, საინტერესო შემოქმედთან — თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მთავარ დირიჟორთან შეხვედრის მომხიბვლელობას.

ზ. კოზაკი,
მუსიკისმცოდნე.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

პრეტენდენტთა მატჩზე

რეიკიავიკში გაიმართა მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტების სასაკისა (საბჭოთა კავშირი) და ჰორტის (ჩეხოსლოვაკია) მატჩის მეორე დამატებითი პარტია. თეთრებით თამაშობდა მსოფლიოს ექს-ჩემპიონი.

ხუთსაათიანი ბრძოლის შემდეგ პარტია გადადგა. სასაკის ერთგვარი უპირატესობა აქვს, მაგრამ ექსპერტების აზრით, ამ შეხვედრაში ყაიმი მოსალოდნელი.

ახლა ანგარიშია 6,5:6,5. თუ გადადებული პარტია ყაიმით დასრულდა, მაშინ დაინიშნება კიდევ ორი დამატებითი შეხვედრა.

ქართველ ქიუდოისტთა წარმატება

პრაღა, 11 აპრილი. (საკადესის კორ.). ერთი პრაგელი, ერთი მეორე და ორი შესამე ადგილი დაიკავეს საქართველოს ქიუდოისტებმა საერთაშორისო ტურნირში განთავისუფლების თასზე, რომელიც ქალაქ იიჩინში (აღმოსავლეთ ჩეხეთის ოლქი) დამთავრდა. გამარჯვებულნი გამოვიდნენ (წონითი კატეგორიების მიხედვით): გრაფი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), სსრ კავშირის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი ამირან ობგაიძე, ტუმა და ბარტა (ჩეხოსლოვაკია), ფრანგები — ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი ტრაე და დანზელი, კაკეე (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა).

მეორე სპარიზო ადგილი დაიკავა სსრ კავშირის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა ალეხანდრ ბოლეტერმა, მესამე — ევროპის პირველობის ვერცხლის პრიზიორმა ოლეგ ზურაბიანმა და გურამ გოგოლაურმა.

საქართველოს პირველობაზე

გაიმარჯა რესპუბლიკის ჩემპიონატი ფეხბურთში პირველი ჯგუფის გუნდებს შორის. გათამაშების ლიდერმა წალენჯიხის „სკურმა“ თბილისში იასპარეზა პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდთან. სტუმრები დამარცხდნენ 0:3. ექვსი ტურის შემდეგ „სკურს“ 9 ქულა აქვს. ამასობაში ყვარლის „დურუჯნა“ 1:0 სძლია ოჩამჩირის „ამირანს“ და ლიდერს დაეწია.

ლიდერებს თითო ქულით ჩამორჩებიან გალის „მზიური“, რომელმაც ფრედ — 2:2 ითამაშა ცხაკაიას „ეგრისთან“, და ფოთის „კოლხეთი“, რომელმაც ასეთივე ანგარიშით დაამთავრა შეხვედრა ხობელ თანაკლუბელთან.

ნინ ფინალი

ანკარა, 12 აპრილი. (საკადესის კორ. ჯ. პოპოვი). ახალგაზრდა საბჭოთა ფეხბურთელებმა მოიპოვეს უეფას ფინალურ ტურნირში გამოსვლის უფლება, თუმცა იზმირის სტადიონზე თურქეთის ჟაბუკთა ნაკრებთან საპასუხო მატჩი წააგეს ანგარიშით 1:2 (0:1). შეგახსენებთ, რომ კიბინოოფში სსრ კავშირის ნაკრებმა თურქ სპორტსმენებს პირველი შეხვედრა მოუგო — 1:0. ამრიგად, „სტუმრად“ გატანილმა ბურთმა თურქეთისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების დავა საბჭოთა ფეხბურთელების სასარგებლოდ გადაწყვიტა.

უეფას ფინალური ტურნირი ბელგიაში გაიმართება 19-28 მაისს.

□

ფეხბურთის სამმართველოში

სსრ კავშირის ფეხბურთის სამმართველოს სპორტულ-ტექნიკურმა კომისიამ გაითვალისწინა თბილისის „დინამოსა“ და ლენინგრადის „ზენიტის“ შორის საკავშირო ჩემპიონატის მატჩში დინამოელ დ. ყიფიანის მიერ ნაგვინილი არსპორტული საქციელის წერილობითი მონაცემების ფაქტი, ძალაში დატოვა გუნდის გადაწყვეტილება. აღარძალოს მას თამაში ერთ მატჩში (ტაშკენტის „პახტაკორთან“) და პირობითად დისციპლინფიცირებულ იქნას პარველი წრის ბოლომდე.

ჩემპიონატი... ჩემპიონატში

25 დღის განმავლობაში — 24 აპრილიდან 18 მისამდე სსრ კავშირის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის ოთხი შესარჩევი მატჩი უნდა გამართოს საბერძნეთისა (24 აპრილს — მოსკოვში, 10 მაისს — მეტოქის მოედანზე) და უნგრეთის (30 აპრილს — მეტოქის მოედანზე, 18 მაისს — მოსკოვში) გუნდებთან. ამ ვადებში საკავშირო ჩემპიონატზე გაიმართება მხოლოდ ერთი ტური — 2 და 3 მაისს.

ამიტომ გადაწყდა, რომ ჩვენი ქვეყნის უმაღლესი ლიგის გუნდები გამართავენ ე. წ. „ჩემპიონატის ჩემპიონატს“ — 16 გუნდის ტურნირს გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ პრიზზე. გუნდები დაყოფილნი არიან 4 ჯგუფად: პირველი — „ტორპედო“, „მახტაორი“, „ლოკომოტივი“, „ზარია“, მეორე — „კიევის „დინამო“, „კარპატი“, „ჩერნომორეცი“, „დნეპრი“, მესამე — თბილისის „დინამო“, „არარატი“, „ნეფტჩი“, „კიბირატი“, მეოთხე — მოსკოვის „დინამო“, ცსკა, „კრილია სოვეტოვი“, „ზენიტი“.

გამარჯვებულები ითამაშებენ ნახევარფინალში (წილისყრით), შემდეგ გაიმართება ფინალი. 21 მაისს საკავშირო ჩემპიონატი კვლავ განახლდება — გაიმართება მე-5 ტური 8 მატჩი.

ეი თბილისის „დინამოს“ მატჩების (ისინი ერთ წრედ გაიმართება) კალენდარი ამ მინი-ტურნირში: 21 აპრილს თბილისში — „ნეფტჩისთან“, 26 აპრილს — აქვე „კიბირატთან“, 8 მაისს ერევანში — „არარატთან“.

დღეს ჩვენი ქვეყნის 20 სტადიონზე სტარტს იღებს ფეხბურთში სსრ კავშირის ჩემპიონატი პირველი ლიგის გუნდებს შორის. ქუთაისის „ტორპედო“ პირველ ტურში უმასპინძლებს ყაზანის „რუბინს“.

„კომუნისტის“ კორესპონდენტი ო. ნოზაძე შეხვდა ქუთაისის ტორპედოელთა გუნდის უფროს მწვრთნელს, სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს სპორტის ოსტატს ანატოლი ნორაკიძეს და რამდენიმე კითხვით მიმართა მას:

ალბათ, გულწრფელნი არ ვიქნებოდით, საუბარი თქვენი შარშანდელი განცხადების გახსენებით რომ არ დაგვიწყო. მოგვიტევეთ, მაგრამ, თქვენ მაშინ პრესის ფურცლებიდან ერთობ გაბედულად განაცხადეთ, რომ თუ ქუთაისელი ფეხბურთელები 1976 წლის სეზონში უმაღლესი ლიგის საგზურს არ მოიპოვებენ, კოლექტივს გამოვეთხოვებიო. რას გვიპასუხებთ ამ კითხვაზე?

— სხვათაშორის, ასეთ კითხვას მოველოდი. შევეცდები გიპასუხო. დიახ, შარშანწინდელ გათამაშებაში ჩვენ მესამე საპრიზო ადგილი დავიკავეთ და, რომ იტყვიან, ერთი ნაბიჯი არ გვეყო სანუკვარი მიზნის მისაღწევად. მაგრამ საქმე მარტო მესამე ადგილი არ იყო. ჩვენი გუნდი რომლის გასვლით მატჩებს, როგორც წესი, ყოველთვის უამრავი მაყურებელი ესწრებოდა, თამაშის კლასით, მოთამაშეთა შერჩევით წამდვილად მზად იყო უმაღლეს ლიგაში გადასვლისათვის და, ამდენად, ჩვენი მიზანი რეალურად მიგვაჩნდა. როგორც ხედავთ, ამოცანა ვერ შევასრულეთ და მეც, ცხადია, გადაგწყვიტე გუნდიდან წასვლა. მაგრამ ჩვენი ქალაქის სპორტგადოებრიობის აზრით გუნდიდან ჩემი წასვლა არ იქნებოდა მიზანშეწონილი, და მეც დავრჩი. აქვე მინდა ხაზი გავუსვა იმ ფაქტს, რომ ქუთაისს „ტორპედო“ ჩემთვის, შეიძლება ითქვას, ახლა უკვე მშობლიური გუნდია.

ქუთაისის „ტორპედომ“ არა თუ ვერ მიაღწია საწადელს, არამედ გათამაშების ცხრილში 4 საფეხურით დაეწია. მაინც რა იყო შედარებით ასეთი წარუმატებლობის მიზეზი?

— შარშანდელი ჩემპიონატის დაწყებას წინ, აპრილში ჩვენ ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად გავემგზავრეთ ნეპალში (ტორპედოელებს ხომ 5 წელია არ უთამაშიათ საზღვარგარეთ), რაც ამკრძალავ არ იყო მიზანშეწონილი. გუნდმა ამით არც მეტი, არც ნაკლები, 18 დღე დაკარგა და ორი კალენდარული მატჩი გაიცდინა. დიახ, ამით ჩვენ ფაქტიურად დავკარგეთ ინტენსიური მზადების რიტმი და სწორედ მაშინ, როდესაც სპორტულად კარგად უნდა ვყოფილიყავით მომზადებული. სხვათაშორის, ნეპალის ტურნე არც წმინდა სპორტული თვალსაზრისით იყო გამართლებული. იქაური გუნდები ხომ ჩვენი რესპუბლიკის მეორე ჯგუფის კოლექტივებზე დაბალ დონეზე თამაშობენ. ამიტომ იყო, რომ უკანასკნელ, მესამე მატჩში ჩვენს ფეხბურთელებს ამოცანად დაგესახეთ ვოლები მხოლოდ თავით გაეტანათ, მათ ეს შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 4:1.

რა სახის ცვლილებებია ახალ სეზონში თქვენს გუნდში?

— თუ ვინ წავიდა ქუთაისურ „ტორპედოდან“ თბილისის „დინამოში“, მკითხველებმა კარგად იციან. გუნდში აღარ გამოვლენ ლევან ნოდია (იგი თბილისში გადავიდა და თავისი სპეციალობით მუშაობს), რევაზ ჭოხონელიძე (რომელიც ახლა ლენინგრადის „დინამოში“ თამაშობს) და ჯემალ ხერხაძე. ეს უკანასკნელი ჩემთან და თ. გრძელიშვილთან ერთად ქუთაისის „ტორპედოს“ ავანჯარიშებს.

ჩვენს გუნდში თბილისის „დინამოს“ სათადარიგო შემადგენლობიდან მოვიდა მცველი ლ. მელიქია, ბათუმიდან გადმოვიდნენ მეკარე ი. შამინაშვილი, მცველები ი. ჯოლკოვი და მ. სარიშვილი, „ტორპედოს“ მოსამზადებელი ჯგუფიდან, რომელსაც კ. ხურცილაძე ხელმძღვანელობს, მოვიდნენ მცველი გ. მარგველანი და ნახევარმცველი გ. ჯორგოძე, ქუთაისის განათლების განყოფილების გუნდიდან (მას ი. ლოსაბერიძე ავარჯიშებს) გადმოვიდა თავდამსხმელი ს. შეეცოვი.

— გუნდი 5 იანვარს შეიკრიბა ქუთაისში 10 დღით, შემდეგ გავემგზავრეთ გაგრაში, სადაც 5 თებერვლამდე დავყოვნეთ. ამ პერიოდში განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდით საერთო ფიზიკურ მომზადებას და ბურთთან ვარჯიშს. ერთკვირიანი შესვენების შემდეგ, 16 თებერვლიდან 20 მარტამდე დავყოფეთ ლუსლიძეში, სადაც ინტენსიურ ვარჯიშთან ერთად 12 ამხანაგური მატჩიც ნავატარეთ.

რაა აქცევთ ძირითად ყურადღებას ვარჯიშის დროს?

— ტორპედოელი თავდამსხმელები ახლაც არც თუ ისე ეოტა სიგოლი მომენტებს ჭმნიან მეტოქის კართან, მაგრამ ხშირად ვერ იყენებენ მათ. აი სწორედ ამ მხრივ ვეჭიდრება ბევრი მუშაობა. მეტი ურთიერთკავშირის დამყარებაა საჭირო დაცვასა და თავდასხმას შორის, ე. ი. შუა ხაზს ეკალები უფრო ენერგიულად და ნაყოფიერად იმოქმედოს.

ძალიან ვგიდა კარგად ვითამაშოთ (და ვიმარჯვოთ კიდეც!) დღევანდელ მატჩში, რათა გუნდმა აღწერილნოს თავისი ძალა. ეს კი ძალზე საჭიროა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ამ ძნელ ჩემპიონატში.

მჯერა ჩვენი ფეხბურთელებისა!

სიტყვა ეძლევა ქუთაისის „ტორპედოს“ უფროს მწვრთნელს ა. ნორაკიძეს.

კონცერტი ფერმაში

ახალციხე. (საკ. კორ.). რაიონის მშრომელთა კულტურული მომსახურებისათვის ნაყოფიერ მუშაობას ეწევა სარაიონო კულტურის სახლთან არსებული აგიტბრიგადა, რომელსაც ვ. კვინსელაძე ხელმძღვანელობს.

აგიტბრიგადის ბრიგადის წევრები ესტეტრნენ აგარის საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეებს და კონკრეტი გამართეს. კონცერტის პროგრამაში იყო ქართული ხალხური სიმღერები, სკეტჩები, მინიატურები.

შ. მაისურაძე.

კარგი ტრადიცია

ცაგერი. (საკ. კორ.). სოფელ ზუბში ტრადიციად დამკვიდრდა მოსწავლე ახალგაზრდობის შეხვედრები რევოლუციონერებთან და დიდი სამამულო ომის მონაწილეებთან, ალბომების შედგენა, შინმოუსვლელ თანასოფლელთა ოჯახებში ზრუნვა.

ზუბელებმა ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა მოუწყეს დიდი სამამულო ომის ორ მონაწილეს ნიკოლოზ ომიაძეს და გერონტი კიკალიშვილს.

დასასრულს გაიმართა თვითმოქმედი ანსამბლის კონცერტი.

ვ. ცირეკიძე.

„კომუნისტის“ ფოსტიდან

ცხინვალი. კარლ მარქსის ქუჩაზე გაიხსნა ორსართულიანი, კეთილმოწყობილი პიგიენის სახლი, რომელშიც მოთავსებულია ბანო, საგარდეროზე, ბუფეტი, სპპარიკმახერო, სამანიკურე, თმის შესაღები, საშხაპე და სხვ. პიგიენის სახლი საოლქო № 121 მოძრავმა მექანიზებულმა კოლონამ ააგო.

ხ. ცოტნიაშვილი.

საჩხერე. კულტურის სახლში შექმნილია მბეჭდავი-მემანქანე-საქმეთა მმართველების მოსამზადებელი კურსები (ხელმძღვანელი თინა მაჭარაშვილი). ამას წინათ მოეწყო კურსების გამოშვება. გამოცდები წარმატებით ჩაბარეს საჩხერელმა მ. ოთოდაძემ, დილიკაურელმა ვ. არჩვაძემ, ბორელმა თ. ჩიჩუამ, ქორეთელმა ნ. ლაბაძემ, თბილისელმა ლ. ფეკანოიძემ. სულ კურსების დამთავრების მოწმობა 22-მა ახალგაზრდამ მიიღო.

ა. კაპანაძე.

უვარელი. სოფლებში ოქტომბერსა და ჩანტლისყურეში გაიხსნა საყიმო სახლი და საფერშლო-სანეტერინარო პუნქტი.

ი. ლელაძე.

ᲐᲚᲘᲐᲠᲔᲑᲐ

□

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ — ᲡᲐᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘ

□

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ მეცნიერებათა დოქტორმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ზურაბ კაკაბაძემ ამერიკის შეერთებული შტატებიდან მიიღო ფენომენოლოგიური კვლევის საერთაშორისო საზოგადოების გენერალური მდივნის, ფენომენოლოგიური კვლევისა და სწავლების მსოფლიო ინსტიტუტის პრეზიდენტის ანა-ტერეზა ტუმინიჩის წერილი, რომელშიც ნათქვამია:

„ფენომენოლოგიაში თქვენი შესანიშნავი შრომებისა და განსაკუთრებით კი იდმუნდ ჰუსერლის შესახებ თქვენი წიგნის გაცნობის საფუძველზე ჩვენმა კომიტეტმა გადაწყვიტა აგირჩიოთ თქვენ არა მარტო ფენომენოლოგიური კვლევის საერთაშორისო საზოგადოების წევრად, არამედ მისი კომიტეტის წევრადაც“.

ამასთან კომიტეტი ატყობინებს პროფესორ ზ. კაკაბაძეს, რომ 1978 წელს შტუტგარტში (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) განზრახულია მოეწყოს ფილოსოფოსთა მსოფლიო კონგრესი, რომლის დროს გაიმართება ფენომენოლოგიური კვლევის საერთაშორისო საზოგადოების სხდომები, და სთხოვს, რომ უხელმძღვანელოს ერთ-ერთ ასეთ სხდომას. (საქინფორმი).

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ

□

ᲞᲘᲚᲘᲡᲝᲤᲘᲘᲡ მეცნიერებათა დოქტორმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ზურაბ კაკაბაძემ ამერიკის შეერთებული შტატებიდან მიიღო ფენომენოლოგიური კვლევის საერთაშორისო საზოგადოების გენერალური მდივნის, ფენომენოლოგიური კვლევისა და სწავლების მსოფლიო ინსტიტუტის პრეზიდენტის ანა-ტერეზა ტუმინიჩის წერილი, რომელშიც ნათქვამია:

„ფენომენოლოგიაში თქვენი შესანიშნავი შრომებისა და განსაკუთრებით კი იდმუნდ ჰუსერლის შესახებ თქვენი წიგნის გაცნობის საფუძველზე ჩვენმა კომიტეტმა გადაწყვიტა აგირჩიოთ თქვენ არა მარტო ფენომენოლოგიური კვლევის საერთაშორისო საზოგადოების წევრად, არამედ მისი კომიტეტის წევრადაც“.

ამასთან კომიტეტი ატყობინებს პროფესორ ზ. კაკაბაძეს, რომ 1978 წელს შტუტგარტში (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) განზრახულია მოეწყოს ფილოსოფოსთა მსოფლიო კონგრესი, რომლის დროს გაიმართება ფენომენოლოგიური კვლევის საერთაშორისო საზოგადოების სხდომები, და სთხოვს, რომ უხელმძღვანელოს ერთ-ერთ ასეთ სხდომას. (საქინფორმი).

ᲐᲦᲛᲘᲜᲓᲘ

ᲓᲦᲔᲡ დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია წვიმა, ზოგან ელჭექი, სუსტი ქარი, დაბლობ რაიონებში 18-23, მთებში 10-15 გრადუსი იქნება.

აღმოსავლეთ საქართველოში ზოგან ხანმოკლე წვიმა და ელჭექი; მოსალოდნელი, მტკვრის ხეობაში დასავლეთის ქარი იქროლებს. ტემპერატურა — დაბლობ რაიონებში 20-24, მთებში 11-16 გრადუსი.

თბილისში მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, იქროლებს ნრდილო-დასავლეთის ქარი, ტემპერატურა — 22-24 გრადუსი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

13 აპრილი

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში (ფერადი. მოსკოვიდან), 10.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ყოველდღე და მთელი სიცოცხლე“, 11.00 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „თუ შვიყვარებ“ (მოსკოვიდან), 12.15 — „კინომოგზაურობის კლუბი“ (ფერადი. მოსკოვიდან), 17.00 — უმაღლეს სასწავლებლში შემსვლელთათვის— მათემატიკა, 17.45 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.05 — მოსწავლეთათვის — გერმანული ენა, 18.35 — განცხადებები, 18.40 — მოსწავლეთათვის — „ჩვენი სტუმრები“ (მოსკოვის ბავშვთა გუნდის კონცერტი), 19.10 — „მეცნიერება სახალხო მეურნეობას“, 19.35 — მშრომელთა თვითმოქმედი მხატვრული შემოქმედების პირველი საკავშირო ფესტივალი. ქართული ხალხური სიმღერები. ჩხოროწყუს რაიონის სოფელი ზუმი (ფერადი), 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.30 — სპორტული მიმოხილვა, 20.55 — მოსკოვის ვახტანგოვის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი „პრინცესა ტურანდოტი“ (I მოქმედება), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — მოსკოვის ვახტანგოვის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი „პრინცესა ტურანდოტი“ (მეორე და მესამე მოქმედება). შესვენებისას ახალი ამბები.

14 აპრილი

პირველი პროგრამით

08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მოსკოვიდან), 08.32 — მუსუუქი მუსიკა, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 10.00 — ცენტრალური ნიუნერსიტეტის ფოსტა, 21.00 — — „ძილისპირული“, 21.10 — რადიოკომპოზიცია „სწორი ხართ, კაპიტან!“ (მ. გელოვანის დაბადების მე-60 წლისთავის გამო), 23.30 — საბჭოთა კავშირის პირველობა კალათბურთში. ცსკა-თბილისის „დინამოს“ შეხვედრის მეორე ნახევრის რეპორტაჟი კიევიდან.

13 აპრილი

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **გუშინდელნი**; კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ეზოში ავი ძაღლია**; ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **სხვისი შვილების მამა**; ახალგაზრდული დრამატული თეატრი-სტუდია — **უბედურება**; **ურემი**.

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ